

გვიან 27 მარტი 1916 წ.

ფას 12 კპ.


რედაქციის აღმას: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

# ქართველობის მათერიალი

იუმორისტი  
უკრნალი

№ 13

”კ მ ზ ი ს ი ა“



თანახმად განათლების მინისტრის განკარგულებისა, კლასიდან კლასში გადასასვლელი გვზამენები გააუქმეს. სამაგიერო შემოიღეს ე. წ. „კომისიები“. ჩვენს რედაქციას მრავალი წერილები მოსდის, უფალია მოწაფეთა მიერ ხელმოწერილი; საერთო აზრი ამ წერილებისა შემდეგია: ძირს „კომისიები“, გაუმარჯოს ეგზამენებსო!

## ისინი მაშინვე მიხვდებიან!

ის, ვინც მეცნიერულ სტატიებსა სწერს, ვინც მოთხოვდებსა და ლექსებს თხზავს, ვინც სამეცნიერო წერილებს აღვენს, ვინც ომსა და შინაური ცხოვრების მიმოხილვას აწარმოებს, ვინც კრიტიკასა და პოლემიკაშია ჩაბმული, ერთი სიტყვით ვერავითარი დარგის მწერალი ვერ გაიგებს ჩვენს, ხუმარა მწერალთა, უბედობას.

სხვა როგორ გაიგებს, როცა მე თითონ ვერაფერი გამიგია ჩემი ხასიათის დაუდეგრობისა და რეყვისა.

ეს კი უნიშნული მაქს. სამშაბათ დილიდან ფილრე ოთხშაბათ დილამდე, უკიდურესი მწერარება და სევდა იპყრობს მთელს ჩემ არსებას. სწორეთ ახირებული საქმე! ეს ის დროა, როცა მე ვალდებული ვარ სახუმარო ფელეტონი დავსწერო ჩვენი უურნალისათვის. გავონალა? სწორეთ იმ დროს, როცა ჩემთვის საჭიროა მხიარული სულიერი განწყობილება, თითქო განზრას გაპერება ყოველი სისარულიც და მხიარულებაც. ამ დროს ჩემს აღარ მოქმედობს არც ი. იმედაშვილის მოშინავე, არც რომაპაიძის პოვზია და არც თ. ლონონტის ფილოსოფია. ვკითხულობ და სახეს ერთი ლიმიც არ გაეცერის, თითქო მართლაც სერიოზულსა და მძიმე აზრებს გახურდავებდე.

ამ ტანჯვას მიუმატეთ ისიც, რომ გინდასარ გინდა, რამე მაინც უნდა დასწერო. უნდა დასწერო სახუმარო მაშინ, როცა მწერარების წურბლები გარს გახვევია და უკანასკნელ წვეთს მხიარულებისას გწოს. დასწერ რასაც კი გველია. მეტი გზა არ არის. დასწერ არც იქნება და რაზედაც მოხერხდება. დასწერ, დაპეტ და დასდებ. წაკითხვის გეშინია; არ გინდა მწერარება გაიორკეცო, გეშინია უარეს უკიდურესობაში არ ჩაგარდე იმისი კითხვით, რასაც სიცილით უნდა მოეკალი.

ოთხშაბათ დილით ჩემს წერილს წაიღებენ. ჯერ თოახიდან არც კი გასულა მისი წამდები, რომ მე თავისუფლათ ამოვისუნთქვა. კიდევ ორი სამი წუთი და თითქო არასოდეს ჩემს ახლოს სევდას არ გაეცლოს. ახირებულია სწორეთ მე და ჩემმა ლმერთმაც ვერას გზით ვერ გავიგე: რისთვის არის, რომ მაშინ მოიღრულებდა ჩემი არსება, როცა სა-

ჭიროა მეტი სიმხიარულე, როცა ფელეტონი მაქს დასაწერი? მე მგონია ამას ვერავინ გაიგებს.

**დღეს** წერილი მივიღე.

სხვა დროს ასეთი ამბავი ჩემს არსებას სიხარულით ააგვინდა, დღეს კი ამანაც ვერ იმოქმედა. დღეს სამშაბათია.

### ახლა მწერს:

ძმიო ეშმაკო! ამ წინახე თფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის სახელზე გამოვაგზავნე 5000 კაჟეივი ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლობათ. ასეთ სიძირის დროს ამდენი თანხის გამეტება ხუმრიობა საქმე არ არის და მეწყინება თუ ჩემი ფული ჩემი სურვილის თანახმად არ განწესრიგდა. ჩემი სურვილი კი ასეთია: „ამ ფულიდან დასაწერა შავეცეს ან თავადს, ან ზენაურს. ამასთანავე ან კახელს, ან ქართლელს“ ეს ასე შიშვლათ იყო გამოოთმეული ჩემს წერილში, მაგრამ გული საგულეს მაინც არა მაქს: ვინ იცის, იქნებ ვინმე გდებს მისცენ შემწეობა, ან შორიაპენ აზნაურს. გთხოვ გამიგო ამის შესახებ და ყოველიც მამცნო.“

ეს წერილი როგორც წავიკითხე, იმწამსვე მიკორბინე სადაც ჯერ იყო და ყველაფერი გავიგე. სკოლის კომიტეტს სიამოგნებით შეიდის ეს უხევი შემოწირულება და ეცდება განახორციელოს ქველმოქმედის სურვილი.

— კომიტეტი ვა?

აგრეთვე ასეთი მისამართი საცხოვანი აუმჯობესობის აღმართობის აღმართობის აუმჯობესობის ეჭმიაკი. ამასთვის კომიტეტი მისამართი აუმჯობესობის აუმჯობესობის ეჭმიაკი.

## „არშინ მალ-ალანი“.

ქალო, ქალი არ მინახავს  
ქვეყანაზე შენი მგვანი;  
შენამც თავზე შემოგველოს  
შენი არშინ მალ-ალანი!  
გაბადრულხარ მთვარესავით,  
დახატულხარ მზესავით,  
ერთი შენი კოცნისათვის  
ფულს დავფანტავ ბზესავით.  
შავ-თვალ-წარბავ, ნეტავ აგრე  
რომელ ღმერთმა დაგამშვენა?!  
გავცივდი და წელი მტკივა,  
ვინ მომარჩენს თუ არ შენა!?

მოლი ჩემთან ჩემო სულო,  
ვარდ-ზამბახათ ამოსულო;  
იადონო, ედემს რეულო,  
ჩემ გულ-მკერდში ჩანერგულო!..

ქალო, ქალი არ მინახავს  
ქვეყანაზე შენი მგვანი;  
შენამც თავზე შემოგველოს  
შენი არშინ მალ-ალანი!“

აი ბაზრის პოეზია,  
ქუჩური და უწმაწური;  
აი ქვეყნის ტალახ-ქუძუ  
თხელ ტყინისგან დანაწური.  
დღე—დღესა სკვლის, ღმე—ღმეს,  
დროსა სკვლიან ნელ-ნელ დრონი;  
დავიწყების გრიგალს მიაქვს  
შექსპირი და ბაირონი

და მათ ნაცყლად „მალ-მალანი“  
სცურავს ქვეყნას ზედა-პირზე;  
ხალხი შფოთავს, ხალხი ლელავს,  
ყირამალი დგება ვირზე!..

როს არდგენნ მალ-ალანსა  
თავს იმტკრევენ დასასწრებლად;  
თუ ბილეთი ვერ იშოვეს  
ილვრებიან მლაშე ცრემლად,—  
მაგრამ როცა თამაშობენ  
შექსპირისა უკვდავ დრამას,  
არც ქალი და არც კაცი  
არ იმეტებს არც ერთ დრამას!..

უმეტესი ჩვენი ხალხის

არ კითხულობს ჰამლეტს, ლირსა  
და თუ ხელში ჩაუერდა  
მალალანი ვინმე ვრჩსა,—  
დაიძახებს: „ამის მგზავისი  
ქვეყნად არაფერდაო; ვენაც ვენა  
ვენაც უცალე მის მარჯვენას  
ვისაც დაუწერაო!“ ამ ადრე  
განა მარტო მალალანი!  
ათას დომხალს გულ იკრავენ  
და ნამდვილსა პოეზიას  
სჯიჯგნიან და უღვთოდ ჰკლავენ.  
აქ შეხვდები ომის ლექსებს  
უმგზავსა და უაზროსა;  
იქ შეხედავ „ჯიგი-ჯიგი“  
უბით დააქვს ტუტუკ ბრბოსა!..

მაგრამ უცებ გაგონდება,  
რომ საქმე გაქვს ქუჩასთანა  
და ქუჩური პოეზია  
ტყუილ-მართალს არჩევს გან?!  
ოჂ, პარნასის მაღალო მთავ,  
პოეტების თვალის ჩინო,—  
გევერდები ეს მუტრუკნი  
ცოტა განზე აყროყნო!..


მაგრამ მაინც ყველას სჯობნის  
მალ-ალანის დამბდაჭნავი;  
მან სუყველას გაუთხელა  
ჯიბე, უბე, ტყინი, თავი.  
ჯერ იყო და სულ თათრულად  
ჰმართეს აღმა, ჰმართეს დაღმა  
და როდესაც ყველაზ ნახა:  
ქალმა, კაცმა, კატამ, ძალლმა —  
ახლა თარგნეს სომხურათა  
დამშვენენს სომხის სკუნა,  
ქუჩურ მღერით, თრის უღერით  
მთლიად წილელს ყურთა სმესა,  
ჯერ დიდ-კაცნი გაიტაცა,

დიღებს მიჰყვნენ პატარები;  
აღარც სქამდნენ, აღარც სკამდენ,  
გაიჩინეს „კატარები“,  
იძახოდნენ: აბა, ჩქარა,  
კლუბში მალ-ალანიაო,  
მოდიო, ენახოთ... არა არს რა  
ქვეყნად მისი მგვანია!..  
ხალხიც აჟყა ფეხის ხმასა,  
ცოტა რამეც ჰყოფნის ბრბოსა  
და ყოველ დღე ესწრებოდა  
დომყაყებულ დომხალ-დოსა!..

ეხლა გილაც ბოროტის ყურს  
გაუგია ეს ამბავი,  
რომ ქართულად უთარგმნიათ  
ეს თათრული შილაფლავი.  
ყველა ელის ალზაცებით,  
ეისაც თავში უქრის ბლომად;  
ელის უეგარსა საზრდოს  
ლაყე ტვინის გასაძლომად!..  
ერთი ამბობს: რა კარგია,  
იცით, არშინ მალ-ალანი?!

ნახო, იტყვი: მაცერინა  
ნეტავ კიდე ცოტა ხანი!..  
მეორე სხვას გაიძახის  
და მესამე კიდევ სხვასა;  
ტვინით სწევენ სიბინძურეს,  
ჰერევ უფილობის ზღვასა!  
ერთი სიტყვით, ყოველ კარებს  
მალ-ალანი აწერია  
და ქალს და კაცს ეს სახელი  
ენის წარჩე აკერია.  
სხვა რაღა ესთქვა?..უგნურთათვის  
ამთა სიტყვის ხარჯვა!..  
ერთს კი ვიტყვი: ამ დიდ ომში  
მალ-ალანმა გაიმარჯვა!..

ბეგლარა.



## გლეხის გოდება

ს. ფ—ში ხშირად არის ყრილობა, რომლებ-  
საც მე ვესწრები, როგორც გლეხი. ერთად მოგ-  
როვილ ჩლეხებს რომ შეგვეხდავთ ზედ მეტად შე-  
გეცოლვებით. ყველა დამჭრევებულები და გაყვით-  
ლებული უშემლობით, უშემლობით, სიცივით და  
სიცხით; ამ გაჭირებულ ხალხს გადმოგადეგება მალ-  
ლიდან ბოქაული და გიცხადებს ათას გვარ გადა-  
სახადებს, მთავრობის მოწერილობებს, რომლები-  
თაც გვექადნიან , ეწეკუციას, მთავრობის  
მამასახლის დარაჯებით ჩვენის ხარჯით,  
და სხვებს.

რისთვის? აი რისთვის: ჩვენ, გლეხებმა, უნდა  
დავიჭიროთ ყჩაბები, მოვრყენოთ გაქცეული ჯა-  
რის კაცები, უნდა გადავიხადოთ ოცი ოცდა ათი  
წლის წინათ მომსპარ-გადასახადების ნედოიმები  
მიუხედავათ წოდებისა.

როცა ამას ვვიტადებენ ბევრს გვინდა შე-  
კითხვა, პასუხის მიუქმა და გამოლაპარაკება, მაგა-  
რამ ვინ გაბედავს, ენას ვინ დაძრავს, რიცგან წინ-  
დაწინვე გვიცხადებენ: პასუხი არ შეიძლება; მაგ-  
რამ დალოცოს ღმერთმა ჭალარანი, წვერ-გაყვით-  
ლებული მოხუცნი, რომლებსაც აქვთ ვევრო თუ-  
თუნი გრძელი ქსებით და ყალიონები, ლაპარაკს  
მაინც არ განებებენო, ფიქრობენ და სამაგიეროთ  
ლაპარაკისა ჩაჯდებიან ჩვენს უკან და ისე გემოით  
სწევენ ყალიონებს, რომ შეხედოთ ორთქლ მავა-  
ლის კალამში ამომავალი ბოლი მოგაგონდებათ,  
რაშიც ამოიკითხავთ ზემოთქმულების არაფრად  
ჩაგდებას. ღამდება კიდევაც, მიღის ბოქაული, ჩვენ  
შშიერ-მწყურვალნი ვრჩებით მამასახლისთან და სა-  
მაგიეროთ იმისა, რომ ვერ ესთქვით ბოქაულთან  
რა, მიღსდგებით მამასახლისს, ნაცვლებს, მსაჯუ-  
ლებს, ყველა სოფლის მოხელე პირებს და ყველა  
თითოულად აი ორას-სამასი კაცი მთელი დღის  
ნერწყვ-გამშრალები ვაგინებთ, ყვირილით, რომ  
ნერწყვი გასოლდეს, უძახით მათ: აღოღებულებს,

ყოველგვარ რაებს.  
ასტყდება ისეთი ხმაურობა, რომ თავის ყვირილს  
თვითონვე ვერ გაიღონებ. ვბრუნდებით თავის ქოხ-  
ში დაქანული შიძიშილის და ყვირილისაგან. გახ-  
სოებს ბოქაულის სიტყვები და ფიქრობ: რით აიშო-  
რო თავიდან; ვახშამი ჯერ სად არის და თუ არის

უმარილო ლობით და მჭადი... როგორა სჭამ, მაგრამ დახეთ რა ძეირი ჯდება აი უმარილო ლობით და მჭადი!

ქალებს დღეს დაუნახავთ ვიღაც ქალაქიდან მოსული ქალები, რომელებსაც მოდის ტანისამოსები სცმიათ. აიღებ პირველ, ლუკმას თუ არა, ქალი გაჯავრებული ამბობს: თავი უნდა მოვიკლა, თუ ის ახალი კაბა არ შევიკერვო. ეკითხები: რა არის ქალო მოდა? ქალამნები თუა ქე მაცვია და... ქალი არ მანებებს ლაპარაკს. ქალამანი კი არა, აი რა მოდებია და სთვლის: მოდნი შლაპა, ვარდის ფერი მაღაზიების იობა, კოლოფის შავიკის კაბები და ბოკრის... უნდა სთქვას რაღაცაები მაგრამ წამოუწყებ: ბოკრის ძალი ძეირია სოფლათ და სად იშვის კაცი, და თუ... მაგრამ ქალი მაჩერებები და ყვირის: —ძალიც კი ვარ, ვირიც და ლორიც შენისთანა უხინკუას ხელში. რათ მინდოდა შენისთანა ქმარი, მომატყუე, ითხოვე ტანისა მოსი, ფეხშე ჩასაცმელი, კარგი ქამარი. ქილები, ლეკური, სატევარი, ქუდი, მე კაცი მეგონე ჩაცმული, დახურული და ქონებიანი. მოვიდა ის ოჯახ დასაქცევი ზალიკაი შვამავალათ და გაატარაშა ენა, იმის ოჯახს გადაფუფქავს ცეცხლი და ნავთი... ვაი ჩემს უბედურებას... ვამბობ გულში, ბოქაულის და მთავრობის მოთხოვნილთბებს რომ გადარჩე, შინა ბოქაულს როგორ გადაურჩები.

სტოკებ ვახშამს, მიღისარ სტოლთან და რას ხედავს თვალები? ორი კონვერტი აგდია, ორივეზე აწერია: მის კეთილშობილებას ირაკლი ტურაძეს ოჯახობით. ცოლს ვეკითხები: —ვინ მოიტანა აი წერილები? ამას გახარებია და ტკბილი კილოით: ვინ ბერა და ივანიკა იმნაძეს ქალიშვილი გოუთხოვდებია და მეორე ბერა... ჩემი შვამავალი ზალიკაი ნათელითი ქორწილს შვრება და ორივეს დაუპატივებივართ წაუსვლელობა არ შეიძლება და იმიზა მინდა მოდების შეკერვა.

დაწობი და ანგარიშობ: ბოქაულის ათასგარ გამომზადებულ მოთხოვნილებებს, ქორწილებში წასელას, რასაც მე ვერ შევიძლებ უმოდოთაც, გაგონდება ივანიკაი და ზალიკაი, სწუხდები .. ნუ გეში გინდა თავს მისცე და რით? ბოლოს მოიგონებ ბოქაულის და ხან დარაჯების მათრახებს, ათას-ჯერ ცოლთან ჩეუბს, ათასჯერ ქორწილში და ტირილში დაპატივებას, საღაც არ წასულხარ, ათასი გადასახადების გადახდას და ფიქრობ: მაგათი სულიც

არ იყოს, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება „ვაის გავეყარე და უის შევეყარეს“ ადასტურებს, დავს მაინც არ მოვიკლა; გამოიკრებას გავუძლებ, ვუძლებ და გაუძლო უნდა კიდევაც...

ლუკა ბერძენიშვილი.

## შ დ რ დ ლ ა

ბატონი ჩემო! სხვა სიტყვა  
არ მეგულების ბარადა,  
უმეტეს სახელდახელო,  
როგორიც არის „ბარადა“  
და აი, ახლაც მზათა ვარ  
თუ მიწალობებთ სმენასა  
ესთქვა მცირე მოსახსენები  
რაც ტვირთად მაწევს ენასა.

მოგახსენებენ, — „იმიტომ  
შემცირდა სივრცე მისიო,  
რომ ომშა შთანთქა გამწევი,  
უანგმა კი თვით სახნისიო.“  
ვითა ზღვა, მწვანე ხავერდის,  
ჰუცეტქს იგი გაზაფხულზედა...  
ზაფხულში, ოქროდ ნაფერი  
ღელავს ყამირის გულზედა.  
მოკლე სიტყვა... ლამაზი...  
საამო მოსასმენადა...  
(ბოლო ნიშანი გახსოვდეთ,  
გასაცემია ძლვენადა!)

მეორე სიტყვა, სადურგლო,  
ხმა მოკლეა და ხშირია...  
ხმარობენ, ფიცარს ფიცართან  
როცა კავშირი სჭირია.

სიცივად ნიეთი მაგარი  
სითხედ იქცევა თფილთანა...  
(თუ არა გჯერათ, მიბრძანდით  
ჩვენს მიხა ჩოდრიშვილთანა)

ბოლო ანბანი ამ სიტყვას  
სჯობს შეუცვალოთ „ინითა“  
და გამზადილი ბარადა  
ვიქტორს მივართვათ ღვინითა!

ქეყლ დროში,  
მამა პაპათვან  
ნაქები იყო „ჯიხვისა“  
ოქრო-ვერცხლ შემონაჭედი  
თავზარ დამცემი რისხვისა.

დასეირნობდა სუფრაზე  
ის შეღიღური ჩხევითა...  
თითონ ფხიზელი რჩებოდა  
სხვა, აზრით შენარყვითა.  
დღეს კი ცისფერად შეღებეს  
ის ვიღაც უბადუუკებმა  
პარიზის მიღამოებში  
ექვსი თვით ნაბუნდრუჟებმა.

კოლო.

## მ თ ხ ს ე ნ ე ბ ა

უფირილა. მათ ეშმაკო და უხილავო!  
რისთვის აგვალე მზრუნველი ხელი?  
ნუ თუ გვონია, მათრახასა შენსა  
ყანა არა აქვს მუნ მოსამკელი?

რა ბრძანება! აქე გვყავს ერთი  
„ნასტარშინალი“ ვაუ „ქებული?  
მოგახსენებენ ბლობათ ისქნაო  
საწყალი ხალხის ჯიბიდან ფული.

უშმდევ გაალო მან აგურხანა  
ყლაპა და ყლაპა ცხელი აგური,  
და როცა დახლი მოინახულა,  
იქ აღარ დახვდა ცალი შაური.

გაუდგა ისევ საჩხერისაკენ,  
საღაც მოსებდნა მაღნები ბლობად...  
ხალხს მოუწოდა სამუშიერზე.  
გასაღდებოდა კატორლის შრომად.

მაგრამ „პოლუჩქის“ დრო რო მოვიდა  
ის გაძრა სადღაც და მიმალა  
შეშა დასტოვა უკაპეიროთ  
და გამოავლო მით პირში ჩალა.

დღეს ყვირილაში ჩამობარგულა,  
ლოთობს, ან კი სხვა რა ეკითხება,  
და თუ საკრივედ ვინმე იშვავა  
ხოზიასავით აეკიდება.

აი ამისთვის გემუდარები,  
ნახო ეს გვამი, ნაძალი სიცხის  
და უთავაზოთ დანამსახური  
„მათრახის კული“ პირველ ხარისხის.

**სამტრედია.** (ზასწავლებელთა ყრილობაზე). შევიტყვე თუ არა სამტრედიაში მასწავლებელთა ყრილობაა, მეც გავეშურე. შევედი დარჩაზში. პირ. ველ რიგში წოდებათა, პროფესიათა წარმომადგენლები დავინახე, უკანა რიგში კი სოფლის მასწავლებლები. ჩემი ყურადღება მიიქცია შავწვერა სათვალეებიანმა კაცმა, რომელიც ვიღაცევბს ფულებს ურიგებდა. დაიწყო „რეჩები“. სმენად გადავიქცი. საზოგადოთ „რეჩები“ ძლიერ მიყვარს, განსმეურებით, თუ „მამული შეილი“ ვინმე ლაპარაკობს. თავმჯდომარეთ ილია, ილია, ილია, პატენი ილია. ილია, ილია, იგრიალა ვოლოდიეს ხმამ, მას შეუერთდა ვარლამი და ადგილობრივ კლუბებისა და ცირკების წარმომადგენლები. — დაიჭირე, ბოჭო, ილია ადგილი, მიმართ აქვს წერიმ და ილიაც ჩემს გვენა სავარაძელში. ლაპარაკობს უწვერო უულვაშო ზოხუცი.

— ბ-ბო! მე არ შემიძლია სიხარული არ გამოვსთვე, იმისთვის კი არა რომ რასაკირველია, წელანაც მოგახსენეთ და ეხლაც გავიმეორებ, მასწავლებელი ისეთი რამ არის, რომელიც ჩვენს ეროვნებაში და ცხოვრებაში, წელანაც ვთქვი და სხვებიც მოგახსენებენ და ამისათვის გისურვებთ ყოველივე კარგს. ბრავო, ბრავო ისიდორ ფელხაზი, იგრიალა წინა რიგმა და მეც „მოხიბლული“ მუვენიერი „რეჩით“, შევკითხე მეზობელს ვინაბა „ორატორიისას“. ეს გახლავთ ისიდორ ფელხაზი, ბანკისა და კლუბის დირექტორი, შესამჩნევი ორატორი, ლიდერი ადგილობრივ ჩარჩ-მამული შევილებისა. მე ის გამეგონა, მეგრამ ნახვით კი არ მენახა და ასეთი, დიდი „მოლვაწის“ გაცნობა არც ისე სახუმროა. კარგბში შავ ულვაშ-წვერმოპარსული კაცი გამოჩნდა... — „ტიგრან, ეხლავე, გენაცვალე ეხლავე. გასძახა ვოლოდიძი. ერთი გეთაყვა აქვს წეტეროვის დაუძახე; უთხარი უშენოთ თამაში არ შესდგათქო. იქ არის სტეფანე, ოქროპირ და სხვები. ვოლოდიძი კბილები აუკაწაწდა, დასწეველის ღმერთმა უჩიტელების კრება იქ რა მინდა აბა რა ჩემი საქმეა, სთქვა ნაღვლიანათ აქვს წერიმ.

ვსთხოვ ქრებას გამგეობა აირჩიოს. ვასახელებ კანდიდატათ ბესოს, წარმოსთქვა ილიაშ. — არა, ილია, ილია ილრიალა ბესომ, ბესო! ილია ბესო! ტყუდა ხმაურობა, ისიდორ ფელხაზიშ მრის სხანება დაეტყო, ბესოს ეხვევა. „ჩვენ გვინდა ზეობრივ-გონებრივი აღმზრდელი მასწავლებელი და არა ფარცვანიები, გაისმა ხმა“. უცებ აირია მონასურერი. ბესოს მოუმარჯვებია მკლავი, მოუხსნია ორი განის თვალი და ვიღაცისკენ მიიწევს. მე შემის ურუანტელმა ამიტანა. მეშინოდა პოგრომი არ დაიწყონ მეთქი: მართლა ვინ იცის, ახლა ცუდი დროა. კაცო ვინ არის ეგ გიეი? იკითხა ვიღაც ხამმა მას-წავლებელმა.

— საპატიო წევრი ქუთაისის მასწავლებელთა კავშირისა, ბესო დავიდიჩ ფარცვნია.

— 100 მანეთად რომ ხმა იყიდა?

— ბესო? ეს ის ბესო ხო არა კოოპერატივს რომ პოლიციელები მიუსია?

— დიახ, მიუგო მეორეშ — უშველოთ თავს, თორებ რამე ჭირს არ გადავგყაროს სთქვა ერთმა და ნელის ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან.

ამ დროს წამოიჭრა ისიდორ ფელხაზიში, მოეცვია ბესოს და განაცხადა: ბესო ჩვენი კაცია ბ-ბო! „Дай БОГъ НАМЪ ПО БОЛЬШЕ ТАКИХЪ. ჩვენ კიდეც ვამზადოთ მაგით...“ ბესოს სახე გაიბრწყინდა, დამშვიდდა, ისიდორეს ეამბორა და ილიას დაუშვენა გვერდი.

ამით დამთავრდა მასწავლებელთა ყრილობა.

ალი.

უფარელი. შორის ქვეყნიდან დაფტრუნდი

თან მოვიყოლე სტვირი მე...

ყვარელო, უნდა შეგაქო,

გიმლერო შენი ჭირიმე!..

შენ, ის მშობელი კერა ხარ,  
კულტურით გადავსილია,  
რომელმაც მოგვეც ქართველ ერს  
დიდი მგოსანი ილია.

, ილიას კოშკიც“ იმიტომ  
„რემონტებს“ არა სჩვევია  
ხავსით გულ ანამწვანები  
სდგას, როგორც ბაყბაყ-მლევია.

მას დალპობია, კარ-კიბე  
კერიც ზე ჩამონაგრეულა,

წიგნთსაცავ-სამკითხველოი  
იქნებ გადარჩეს ჭრეულია.

აქაური ქართველობა  
ნაღიმებით გართულია...  
მათში მხოლოდ ლანძლვა-ჩუბი  
არის ნება დართულია.

მუშტიც გახლავთ შესაქცევათ,  
ოღონდ იყოს ქართულია...  
თან სიძლერას... ამაში ხომ  
კახელები განთქმულია!

ფოსტას გამგეთ მოვლენია  
აქ, ბატონი ალექსანდრე,  
ვინც მას ქეიფს შეპირდება,  
გაისტუმრებს იგი ადრე.

წერილების კითხვა უყვარს,  
გახლავს ცნობის მოყვარული!..  
რას გააწყობ, ასეთია  
აქეთ სენი მოარული.

გაზეთს თავათ არ იწერავს,  
სხეისთ უყვარს სარგებლობა;  
რაკი თითონ წაიკითხავს,  
იცის სტუმართ მასპინძლობა.

მის სურვილით ფოსტით მოგვდის  
ათი ცალი „საქართველო“...  
ქანქარს ძალათ გვაგზავნინებს,  
საქმე გვიქნა სასახელო!

შევსთხოვ უფალს, გადმოგვედოს

და ამყოფოს ბედნიერი...

ამისთანა კაცუნებით

კმაყოფილი ჩვენი ერი!

ნალექებიდან.



## ძ მ ი ვ ს!



**დიდი გინევ.** ვამრავლე კალათის წნა იქ, საცა ტირიფი არ ხარობს—არ ივარგა. დავეძალე  
მელვინეობას მაჲმადიანთა შორის—არ გამოდგა. ვეცადე ხალის ქსოვა გამევრცე-  
ლებინა იქ, საცა მატყული არ იშოვება—ფეხი ვერ მოიკიდა; და აი, ძლიერს! ზუსე-  
თის სახელოსნომ ჩინებული ნაყოფი გამოიღო!


## ზ ღ ა პ ა რ ი .

(საშინაო)

ძველათ ჩემ ბიჭ-კაცობაში  
სოფლათ „უკალელის“ პირათ  
უქმე დლეზე დუქნების წინ  
თავს იყრიდა ხალხი ხშირათ.  
იქ შესაქცევ-გასართობათ  
უხუცენი მათში ბჭობდენ  
გარ შემორტყმულ ახალგაზდებს  
გმირულ ამბებს მოუთხრობდნენ

რიგი ერგო ჩვენ კაციას  
ხალხში უყადათ<sup>1</sup> წოდებულსა  
და ჩვენც სმენათ გადვიქეცით  
მას ვაპყრობდით სულს და გულსა  
სთქვა: იმ დროში ესეს „დურნა“<sup>2</sup>  
იდგა „ცეფში“ ხუცუბანზე  
და მე როგორც მილიციას  
„მაჭახელი“ მეღვა მხარზე

<sup>1)</sup> ყადი—ჭავა საკითხავი-<sup>2)</sup> ესეს დურნა ესე გურიელის „დრუჟინა“  
ლათ გურიაში.



## გერდენის ციხე-სიმაგრეები

ჯარში ყოფნა მომეწყინა  
სახლში წასვლა მოვითხოვე  
ნება მომცეს. ცას ვეწიე  
რა უფლება მოვიპოვე.  
სიხარულით გამოგბრუნდი  
და შევკაზმე სისვი ვაყა,  
ზედ მოვახტი, ქუსლი ვკარი  
გაფიცხდა და იამაყა...  
შურდულივით გამოფრინდა  
არ არჩევდა გზას და კვალსა,  
თითქო მხედარს თანაუგრძნო  
მიჯნურისკენ მიმავალსა.  
გადმოვლახეთ მთა და ბარი  
მივალექით ნასაკირალს,  
გრძნობით უკვე ვეხვეოდი  
ჩემს საყვარელს, ჩემზე მტირალს.  
გზის სიცუდეებ მომაფხიზლა  
ცხენს ჯაფაში შევეხიდე  
გადმოვხტენი და მალქაფათ  
გავიყოლე გზის კიდ-კიდი  
საქვეითო იყო ეს გზა,  
ვხედავ ზედ კაცს მომავალსა  
ზურგზე გოდრით თავ დახრილი  
არ აპყრობდა ზევით თვალსა.  
ყანიდან შინ მიღიოდა

თან მიქონდა ჭირნახული.  
ჩემთვის გზიდგან გადადგომას  
არ ფიქრობდა მისი გული.  
მე გაეტრაზდა, მარა მასთან  
ახლოს მისვლა ვამჯობინე,  
თუმც მისელიმდი ჩემთვის გულში  
გავლინდე და შევაგინე.  
როგორ ბედაეს ეს „ყეყეწი“  
გზიდან რომ არ გამეცალა  
ამ დროს კიდეც შევიყარეთ,  
რომ ვაჩვენო ჩემი ძალა.  
ჭალარაა, ხმალს ვერ ვიხმარ,  
და მათრახი შეუმართე  
ისე თქვენს მტერს, მოხაბიჯეს  
გულზე „ფიშტო“<sup>3)</sup> მე პირ ფართე  
„ხელი აღარ გაანძრიო“  
აფთარის ხმით შემომძახა.  
ოვალი, გული და სისწრაფე  
ჯერ ამ გვარი არ მენახა,  
ხელის მოსმა დავაპირე  
მარა ისე შემომხედა  
რომ იქავე განძევავა  
სულ თქმა ველარ გამებედა

<sup>3)</sup> ფიშტო—დამბაჩა

ვდგევარ ცალი ხელ-აპყრობით  
უცქერ ფიშტოს შეწყიპულსა  
წკიპურტი და... ორი ტყვია  
შემინგრევდა იქვე გულსა  
ენი ხარ, ანუ საიდან ხარ?  
(შემეკითხა ტყვეს ჭაღარა)  
ბაცოდინე რა გაშმაგებს  
ჭკუზე ხარ თუ აღარა...  
ცხენოსანი ქვეითოსანს  
არ მანებებ ვიწრო გზასა  
არც დაჭვირთულს მომერიდე,  
არც ჭაღარა წვერს და თმასა.  
მერე კიდევ მათრასს მიღერ  
განდა ცემით გაძატყავო  
და არ ფიქრობ მეც კაცი ვარ  
ალბათ მოკლე აზრის თავო.  
თუმც გული და მკლავი გერჩის  
იარაღში მჯდარხარ მარა,  
„ბერიკაცის“ გასატყეპათ  
ყველა აგიც არიქმარა  
ვაჟკაცობას მკლავ-გულს გარდა  
უნდა კიდევ ცდა და სწავლა,  
თვით ცხოვრებამ უნდა გამცნოს  
თავის გზებზე სწორი გავლა.  
შენ კი ჯერე არ გცოდნია  
საზოგადოთ ბრძოლის წესი,  
სჯობს დაჰყარო იარალი  
ეს იქნება უკეთესი.  
იარალის დაყრის სმენამ  
თავში დამცა შეხი, ელდა.  
რადგან სიცოცხლითვე სიკვდილს  
იგი ჩემსას გაამხელდა.  
უნებურათ შივიშმუშნე,  
ამივარდა გულის ძერა,  
შამომძახა, —არ წამწყმიდო  
ვხედავ გებრძვის ბედის წერა  
გადაჰყარე იარალი.  
(ისე მტკიცეთ განმეორდა)  
რომ თოვე ხმალი, ფიშტო, ყამა,  
ჩემი ხელით ჩიმომშორდა.  
დაწვრილებით ნუდარ მკითხავთ  
რაც მე მაშინ ვამომშედე  
„შეჯექი და გამშორდიო“  
წაველ, მარა მოვიხედე.  
დამიძახა მომაბრუნა

იარალიც ჩამაბარა  
მარა სიტყვა სამახსოვრო  
მან შემდეგი დამაბარა:  
—ვისაც ებრძვი, სანამ იცნო  
ანდრია, თუ დავითაო  
ნუ იბრძოვებ, თვარა ბრიყვი  
რჩება შენი თავითაო“  
თუ იკითხავთ ეს ზღაპარი  
ეხლა რატომ მომაგონდა  
მზგაესი ბრძოლა ვნახე კალმით  
და შემთხვევაც მარჯვე მქონდა.  
ძველს ახალი შევადარე  
რომ წინაპრებს როგორ ვგევართ  
ვსჯობით მამებს, ვით შვილები  
თუ მამებზეც უკან ვდგევართ.  
აწე თქვენდა მომინდვია  
გაარჩიეთ ვინ ვის სჯობდეს  
და ეშმაკმაც აპატიოს  
თუ მეზღაპარე ცუდათ ბჭობდეს.

## ბუტუნა

## მექრთამეების სიმღერა

ძღვნად სამტრედის რკინის  
გზის მექრთამე მოსამსახურეებს

ქრთამის კირიმე, ქრთამისა!  
იმას კი ვენაცვალები,  
ვისაც არ ძალაუძს ალება  
დაუდგეს როთავ თვალები.  
ქრთამი ტკბილია, ძმობილო,  
ვითა ძუძუ დედისა,  
მისი გამჩენის კირიმე,  
მაღლიერი ვარ ბედისა!  
თქმულება არის, რომ ქრთამი  
ჯოჯოხეთშიაც გადისო;  
წამილი არის უებრო,  
გამლვიძებელი მაღისო.  
რთველია, რთველი, ყანა  
მომწიფებული ძალზედა...  
დევ, შიმშილი მეფობდეს  
ვიფიქროთ მხოლოდ ქრთამზედა.  
ბარგის გამგზავნო, რას უჯდი,  
ძველი დრო ნუ კი გვინია,

თავი მოუხსენ ქისასა,  
ქანქარი ბევრი გქონია.  
ეი! შენ, ნულარ ჯიუტობ,  
მოგვაროვი ასეულები,  
განა არ იცი საქმისთვის  
საჭირო არის ფულები!  
ზიხარ, უბრძანებ, შემოაქვთ  
რაც გინდა სულო, და გულო,  
შენი მონაა ყველაი,  
ფულიანი და უფულო,  
ქრთამის ჭირიმე, ქრთამისა,  
იმას კი ვენაცვალები.  
ვისაც არ ძალ-უძს აღება  
დოუდგეს ორთავ თვალები.

ალი.

## დეპეშები.

**ფოთი.** ნავთ-სადგურში გადასაზიდ საქონელ-  
თა დიდი ოპერაციების მოლოდინში ქალაქის თვით-  
მართველობამ დაადგინა: შეადგინოს ეგრეთ წო-  
დებული „Городской артель“-ი ქალაქის მკვიდრ-  
თაგან. მიზანი ამ არტელისა „თავხედი“ მუშების  
მოშორება არის ნავთ-სადგურის სამუშაოსაგან, რი-  
თაც ყოველგვარი „საფრთხე“ წარმოებისა, ე. ი.  
მოთხოვნილებები, გაფიცვა, ხელფასი, სამუშაო  
დრო და სხვა ასეთები დამოკიდებული იქნება ხა-  
ზენების (უპრავლების) „კეთილ გონიერებაზე“.  
გამოირკვა ისიც, რომ თუ საყითი არტელი არ შედ-  
გა და კიდევ მოსალოდნელი დარჩა „თავხედი“ მუ-  
შებისაგან საფრთხე, ფოთში ნავთსადგური და სა-  
ქონლის გადაზიდვა გაუქმდება და ყულეები აშენ-  
დება ახალი ნავთ-სადგური, საიდანაც, რკინის გზა  
უკვე პირდაპირ გაჰყავთ თურმე ფოთის მოხანათე.  
კამპანიას ქალაქ ჯვარში და ჯვარიდან, რაქა-ლეჩ-  
ხემით თფილისს შეუერთდება.

უპრავმა უკვე აირჩია კომისია არტელის შე-  
სადგენათ და კომისიის პირველ სხდომაზე გამორ-  
კვევა, რომ ქალაქის მკვიდრთაგან, თუ მოსულ-  
თაგან, ნავთ-სადგურში საჭირო არტელები დიდი  
ხანია არსებობს თურმე საქმაო მუშათა რიცხვით  
და რაც უნდა გადიდეს სამუშაო არსებული არ-  
ტელი თმამათ დააკმაყოფილებს სამუშაო ხელის  
მოთხოვნილებას და აგრეთვე, არსებული არტელის

წევრები არავითარ „აზალ არტელში“ არ ჩაეწერე-  
ბიან „რალაც ჯიუტი“ მოსაზრებით. ამიტომ კო-  
მისიამ დაადგინა: არტელის წევრებათ ჩაეწეროს  
ქალაქის ყველა ხმოსნები. არტელის წარმომადგენ-  
ლიათ აირჩიონ ბ-ნი ტყემალაძე, „ტაბელშიკათ“  
ბ-ნი ხოშტარია და ხაზინადრათ ხმოსანი ჯაიანი.  
არტელის წესდება შემდეგია: სამუშაო დრო 25  
საათი დღე და დამეში. ხელფასი: მოიჯარადრეთა  
შეხედულობით განისაზღვრება. მუშების ყოველ-  
გვარი მოთხოვნილება შემუშავდება: სანაოსნო სა-  
ზოგადოების აგენტებისა და არტელის მოიჯარად-  
რე უპრაველებისაგან. ბინა, საექიმო დახმბრება და  
უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის უფლება ამ  
თავითვე ენიჭება მუშებს თვალიანთ „სრულ ნებაზე“  
და ხარჯზე.

**იქიდანვე.** სააფთიაქო ომი ზავით დასრულდა.  
გერჩევსკი იბარებს უკვე აფთექის ფორტებს:  
ყოფილი კამენდანტი აფთექის, ბ-ნი შეიძე, თავის  
ნებით გადადის უკეთეს სიმაგრეში, სადაც თურმე  
სამას (300) „იარაღს“ მიიღებს თვიურათ, აქ კი  
150-ც ნამაღურათ ეძლეოდა.

**იქიდანვე.** სააგნეროს საიდუმლო მოხელემ  
აღმოაჩინა ახალი ულტიმატუმი შანტაჟისტებისა ვ.  
თოფურისადმი წაყენებული, რომლის პასუს 24 საა-  
თში მოითხოვნ საჯევახოს „საელჩიში“. ულტიმა-  
ტუმზე დიპლომატური პასუს გასაცემათ „საელ-  
ჩიში“ გაეგზავრა თოფურის სასახლის მინისტრი  
განსაკუთრებულის მინდობილობით.

ჩვენმა უმავოულო აპარატმა დაიტირა ცნობა  
„ტყის ჯუფზე“ გაგზავნილი. „საჯეოხოში“ „საელ-  
ჩის“ დაეცა გაძლიერებული მტრის რაზმი დატ-  
ყვევეს და წაიყვანეს თვით „ელჩი“. მოსალოდნე-  
ლია ომის გამოცხადება“


ადგილობრივ ჩვენმა საიდუმლო მოხელემ გაი-  
გო, რომ „ოსტროვზე“ დაუტყვევებიათ და ზემო  
აღნიშვნულ „ელჩთან“ მოუთავსებიათ „საელჩის“  
ერთი საპატიო მოხელე. მოსალოდნელია კიდევ  
დიდი ამბები, მარა სააგნერო ჯერ მტკიცე ნეიტრა-  
ლოტეტს დაიჭირს ცნობების გაცემაში, რომ მეო-  
მარი მხარებით არ მოიმდუროს და ომის ასპარიზი  
სააგნეროს ტერიტორიაზე არ იქნას მეომარ მხარე-  
ებიდან გადმოტანილი. ხოლო ომის დამთავრების-  
თანავე სააგნერო ყოველიც მის განკარგულებში  
მყოფ ცნობებს სავსებით და სისწორით გამოუყე-  
ნებს.

კულტურული თავდასხმის მიზეზი ამასწინათ და-  
ტყვევებული ზოგიერთი პირები საწინდარს ქვეშ  
გაუშვეს „საპატიო“ პირები ჯერ კიდევ სხედან  
„სასტუმროში“.

ნახულურის ახლათ გახსნილ კოოპერატივში  
ისევ ჩხარტიშვილის ძევლი კამპანია გაბატონდა და  
გამგეთ მიწვეულ პირის გაძევება შესძლო, რადგან  
დასახელებული პირი იმ 500 მანეთს მოითხოვდა  
თურმე, რომელიც უწინდელ კოოპერატივის კასი-  
დან გაუტანია „კოოპერატორ ჩხარტიშვილს  
და არც დააბრუნებს დარღანელის გახსნამდე. ბ-ნ  
ჩხარტიშვილს ბაძავენ კიდევ ის ორი ყოფილი გამ-  
გეობის წევრები, რომელებზედაც ერთზე 200 და  
მეორეზე 80 მანეთი ითვლებოდა კოოპერატივის  
ვალი. გამგეობას განძრახვა აქვს როცა აიღებს ზე-  
მოთ ჩამოთვლილ პირებიდან ნაჩენებ თანხას ძეგ-  
ლი აუგონ იმ მხოსნებს რომელებმაც გააუქმეს თა-  
ვიანთი „მოღვაწეობით“ უპრავის მაღაზისა და  
ფურნის კოოპერატივზე იჯარით გადაცემის დადგე-  
ნილობა. ძეგლის აგებას მიანდობენ „სკულპტორ  
ისიდორე მამალაძეს.“

პატარა ფოთიდან საკუთარი კორესპონდენციი  
დეპეშით გდატუობინებს, რომ იქაურ ჭორიკანა დე-  
დაკაცთა საზოგადოებას დაუპყრია მთელი სოფელი,  
რომლებიც ვარს ყოფენ ყოველივე არსებულს. გაჰ-  
ყრეს ახლად ჯვარდაწერილი ცოლქმარი, მასწავ-  
ლებელს სკოლაში არ აყენებენ და მღვდელს ეკლე-  
სიაში. ქმრებს ჩამოართვეს ყოველივე უფლება,  
უპირატესობა და დეპუტაციას აგზავნიან „ცისფე-  
რი ყანწების“, რედაქტიაში პალლო იაშვილის მო-  
საწვევათ, რომელიც თავის „პირველთქმით“ მიე-  
სალმება ქალებს.

ბუტუნას სააგენტო.



## მოხელეთა სიმღერა.

სთა. ქვირიარი

### გამასახლისი

მწერალი კარგი მარგუნეს  
ორაგველიძე სილბისტრო,  
დარაჯები მყავს საქები,  
ვლადიმერი და ილიკო  
დახედე, ომიანობაშ  
როგორ მომიწყო ხელია,  
ომში გაგზავნეს კაცები;  
სოფელი ცარიელია.

„ზაპასებს“ დაბმარებისთვის  
ჩვენ მოუმართეთ ხელია.  
მოწმობა ბევრი გავეცით  
ჩვენცა გვხვდა საკენკელია.

### გვრალი

რას ამბობ მამასახლისო  
აბა რა გასამხელია,  
ჩვენ რო ნასუფრალ ნამცეცებს  
სადღაც გავკარით ხელია?

### დარაჯები.

მამასახლისო! მწერალო!  
ჩვენც გაგვიხსენეთ ჩვენცაო,  
თორემ ამ დავიწყებისთვის  
განგირისხდებათ ზეცაო.

### გამასახლისი.

ორაგველიძე მწერალო,  
ნუ ამბობ არაკებსაო,  
საკენკო ჩვენ თუ გადაგვრჩეს  
გაუყოთ „სტრაუნიკებსა“.

### გვრალი.

რას ამბობ, მამასახლისო  
აქ რაა გასაყოფია,  
რის მაქნისია დარაჯი  
თითონ აკენკოთ სჯობია.

გაცხარებული კამათის  
ჯურლმულში ჩაეშვებიან.  
მაგრამ ამავ დროს საკენკით  
ყველანი იკვებებიან.

კენჯერა.

## ჯიბგირობა სცენაზე.

მე, რომ საქმე დამემართა, იმისთვის შენ  
მტერს ნუ დაემართოს' გამიშურა ღმერთი, დავტო-  
ვე რუსეთის დედა-ქალაქი მოსკოვი და ხლენა გა-  
ვადინე ბაქოში. არა! რა მომარბენიებდა რომ არ  
ვიცი? ალბათ მომენატრა ქართველების ნახვა. ჩა-  
მოვედი და მაშინათვე ქართულ სცენაზე მოვადინე  
ბრევა. იცოცხლე ჩემი მონაწილეობით წარმოდ-  
გენები წავიდა. რეცენზენტრა გ—ბამ და ს—ქანმა  
ხომ აავსეს „თეატრი და ცხოვრება“ პროგრამებით.  
არა, თუ შეიძლება ისე კრიტიკოსის სახელი მოი-  
ხვეჭო როგორც ესენი იხვეჭენ. ეილებენ ბოში ამ  
„პროგრამას“ და სდლუზვებნ პოჩტოვი იაშევში.  
შევხედავ ერთი კვირის შემდეგ და აქაური „პრო-  
გრამა“ გიმოჭიმულია „თეატრ და ცხოვრებაში“.  
დალახტა ეშმაქმა ახალ მოლის რეცენზენტრები. ჩე-  
მი ამბავი ქე არ დამავიწყდა? ხო, იმას მოგახსენებ-  
დი, დევიწყე სცენაზე თამაშობა, მარა რა დავიწყე.  
ვინ არის ჩემთან თალიკო და ვალიკო ქართული  
სცენის ქურუმებს რომ ეძახიან. მაგრამ ერთ დღეს  
რომ საქმე დამემართა, მუსა ნაგიევსაც ნუ დამარ-  
თოს ღმერთმა. რაღაცა ეშმაქათ, ჩემ სიცოცხლეში  
ერთხელ მქონდა ჯიბეში 60 შანეთი, ისიც ნახე-  
ვარი სხვისი იყო. ეს ამბავი დიდი ხნის არ არის.  
სულ იქნება ორი თვე, ოცი დღე, ოცი საათი, ოცი  
წუთი და ოცი წამი. ე. ა. მარგალიტა ქილარჯი-  
შვილის ბენეფისი, რომ იყო. ხო, იმას ვამბობდი:  
მივედი თეატრში, შევედი „უბორნიაში“ ჩევიცვი  
სასცენო ტანისამოსი და გავარდი სცენაზე. რომ  
შევედი შუა როლში უცბათ მომეჩენა, ვიღაცა  
ჩემ ჯიბეში ხელს უყობდა და ფულის ამორება  
უნდოდა. იმსთანა მდგომარეობაში ჩავარდა ბაქოს  
კომიტეტი, როგორშია(?) მე ჩავარდი, როცა „უბო-  
რნიაში“ გავედი. მისულიყო ვიღაც, აეღო ჩემი  
„ტუშურა“ ედრუხა შიდ ხელი და ქე არ წევლო  
ის 60 მან. იმე იფიქრეთ ახლა თქვენ რა გუნება-  
ზე დავდგებოდი. ვეცი მაშინათვე კომიტეტს ყელ-  
ში, და რომ არ მოშველებოდენ შენი მტერია და-  
გახრინდი. მაშინვე მოახდინეს კრება, მაგრამ  
თქვენც არ მომიკვდეთ კვალიც არ გამოჩენილია  
ყოს. ის დღე და ეს დღეა ვითხოვ კომიტეტისაგან,  
რომ სხვისი ფული მანც მომცენ, მაგრამ აპა შე  
კაცო. მართალია ჯიბგირობა კარგია, მაგრამ სცე-  
ნაზე მაინც არა აქვს ადგილი.

შალვა გორისელი.

## მღვდლის მონოლოგი

I

რამეთუ კაცი ცოდვილ არს,  
და მას სამოთხის კარები,  
(ჰერნდეს თუ ფული, თუ იყოს  
შიმშილით განამწარები,  
ლვინოც რო ჰერნდეს, ზედაშეც  
სარდაფში განაციები,

არ გაელების არასდროს,  
კანონით ახლის ალთქმისა,  
თუ არ შესწირა შემწვარის  
მან სურნელება ქათმისა.  
მაგრამ რადგანაც ქათამი  
„პრაპორჩიკია“ ბრალია,  
საომრად უნდა წავიდეს,  
განა ლეთისათვის სცალია!?  
საქმეს არ ავნებს მამალი  
ფრენაში გამოცდილია,  
მოსე მღვდელს ჰკითხეთ წამალი,  
როცა შაბათის ძალია.  
ბაყბაყ-დევს ბევრით წააგას  
თვალ ტანალობა მოსესი  
ფეხები სოლომონისა,  
სიმარდე ძველი შროსესი.  
ფეხი ამიტომ ვახსენეთ:  
ესთქვათ მოსე ეგვიპტეშია,  
რომ სიზმრათ ნახოს აღაპი  
ხანანის მთა და კლდეშია,  
კვერთს დაპკრაცს, დესანტს გადასხამს,  
მთებს გადალახაცს, გორებსა...  
ზეცამ უკურთხა მუცელი  
მამას, ნიანგთა სწორებსა.

II



## V

განვლო ეაშმან ობლობისა,  
დრო დაუდგით ახალ ძალის,  
მთელ ოჯახში ახმაურდა  
მუზიკობა პატარძალის.  
დრო მოვიდა დედამთილის,  
ის წლის იქით დაიტირეს,  
აპა სულის საცხონებლად  
საწირავიც დაპირეს.  
თურმე ვიღაც ლამღმობით  
მოხუც მოსეს არ აძინებს,  
წამოაგდებს სარეცლიდან  
და მინდვრებზე არგნინებს.

## კირიე-ელეისონ.

## ბ ა რ ა თ ი.

„ვცდილობ გამოვარკვიო, თუ ვინ ვის ეომება  
და ვინ არ მომას. ვიკრებ მთელ ჩემს ძალ-ლონეს  
და გამჭრიახობას. რუსეთი ეომება გერმანის, გერ-  
მანია—ინგლისს, ინგლისი—ავსტრია უნგრეთს,  
ავსტრია უნგრეთი საფრანგეთს, საფრანგეთი—გერ-  
მანის, გერმანია—სერბიას, სერბია—ბულგარეთს,  
ბულგარეთი—რუსეთს, რუსეთი—ოსმალეთს. ოჟ,  
ღმერთო ჩემო!.. სათათორეთი—პორტუგალიას, პორ-  
ტუგალია—გერმანიას, გერმანია—სერბიას, სერბია  
ბალკანეთს, ბალკანეთი—ჩერჩინოგორიას, ჩერჩინ-  
ოგორია ავლაბრეთს, ავლაბრეთი—ამერიკას. ოჟ! ოჟ!

თავი.. საბერძნეთი—საბერძნეთს, რუმინია—რუმი-  
ნიას, ამერიკა ჩინეთს, იაპონიაც ჩინეთს, ჩინეთი  
კი არავის, არავინ კი მე, მე კი არავის და არავინ  
კი... ხა! ხა! ხა! ა ვნაეთე-ლი ვი, რომ უალეს ალჯირ-  
სკაგი ხელი მის სამის ჩარვლის ჯიბეში იპოვეს.

გუშინ მტკვარმა ნაპირზე ვიღაც ინტელიგენ-  
ტის გვამი გამორიყა და ზემოთ მოყვანილი ბარა-  
თი მის შარვლის ჯიბეში იპოვეს.

გუგული.


## ღ ი ა ჭ ე რ ი ლ ი

პ. ილიკ ქუთათელაძეს\*

როგორც სჩანს თქვენი წერილის კილოლგან („ეშ. მათრახი“ № 5) ჩემს მხილებას ძლიერ გაუ-  
ბრაზებიხართ, დამერწმუნეთ „ფილოსოფია“ აქ არ  
გამოგადგებათ ფაკტიურაკტათ დარჩება და თქვენ  
ნაყოფიერ მოლვაწნობას ჩვენში ესეც მიემატება. მედიატორეებათ ვასახელებთ ნოე დავითისძე კალა-  
ნდაძეს და ალექსანდრე ნესტორისძე ლორთქიფანი-  
ძეს. მასწავლებელ ალ. ლევავას მოსამართლეთ ეკრ  
მივიღებ რადგანაც მელიას და მისი კუჭის არაკა  
ემზადესება. განაჩენი უნდა გამოცხადდეს „ეშმაკის  
მათრახში“ და „თანამედროვე აზრში“ რომ პატივ-  
ცემული რედაქცია მიწერ-მოწერით არ შევაწუხოთ  
გარჩევის დროს დანიშნავენ ჩვენი მედიატორეები  
ურთერთ შორის შეთანხმებით. დანიშნულ დღეს  
დავესწერები მე ან ჩემი რწმუნებული. რაც შეეხება  
სერგო ლოლაბერიძეს თვითონ მან გამომიწვიოს  
თქვენი პეკუნია კი ვფიქრობთ ზედმეტია. გაუგე-  
ბრობის თავიდან ასაშორებლად მედიატორეები  
იქონიებენ მსჯელობას მხოლოდ იმ ბრალდებაზე  
რომელიც „უშმ. მათრახის“ პ-მე №-ში მეონდა  
აღნიშნული.

ისარი.

\*) ეს წერილი იგავნება რედაქციაში მეორეჯერ პირ-  
ველი გაგზავნილი იყო ოთხ თებერვალს რომელიც როგორც  
სჩანს დაკარგულა.



მისამართის გვერდი 1916 წლის 20 იანვარს.

უკავშირის გამორისტული გამოცემა

# თბილის მათარებელი

უკავშირის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეჭმავი და თაგუნა,  
ხოლო გამოცემის ხაქმას ა. გ. ბუკია.

უკავშირის ფასი . 12 თვით 5 პ. ♦ 6 თვით 3 პ. ♦ 3 თვით 1 პ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.  
„ეჭმავის მათრახში“ დაიბეჭდება მ ხ ღ ღ დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზაპრეზი,  
არაკები, ზარალები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

♦ უკავშირის დაიბეჭდება საერთაშორისო ოშის ილიუსტრაციები.

რედაქცია სოხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ

\*)

С. Р. Тавартиладзе.  
Олгинская 6,  
Почт. ящ. № 96.

(ეჭმავის მათრახისათვის)



\*) ეს ადგილი კანვერტს მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ  
♦ უძარკო წერილებს რედაქცია ამ დაისხნის ♦

კომუნისტის სამსახური. სტამბა აზე. „შემოსახულება რედაქტორ-გამომცემი. თეოფილე ბოლქვაძე.